ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ74. 74251199**

თარიღი:**29/04/2025**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54- ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 104-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, დანართის შესაბამისად.
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა, უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის გამოცხადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

უძრავი ქონება

N	საკადასტრო კოდი	მისამართი	შენობა ნაგებობის ფართი მ2	მიწის ფართი მ2	ქონების ღირებულება	აუქციონის პირობა
1	2	3	4	5	6	
1	39.01.29.040	ქალაქი ტყიბული, ტყვარჩელის ქუჩა, ყოფ. სამკერვალო ფაბრიკის მიმდ.		10 000	215 000	3 წლის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა
2	39.01.30.082	ქალაქი ტყიბული, ქუჩა ტყვარჩელი (ყოფილი N2 ატეკა)		7515	200 000	ტერიტორიის მოწესრიგება 2 წლის განმვლობაში, ინვესტიცია 50 000 ლარი 2 წლის განმავლობაში
3	39.01.30.354	ქალაქი ტყიბული, ქუჩა ტყვარჩელი, N57 (ყოფილი საავადმყოფო)		14 560	575 000	მიწის ნაკვეთის გაწმენდა არსებული ნანგრევებისაგან და ტერიტორიის მოწესრიგება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში, 4 წლის განმავლობაში 200000 ლარის ინვესტიცია
4	39.03.35.112	ტყიბული, სოფ. ახალსოფელი (ტბის მიმდებარედ)		1 195	14 000	2 წლის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა, 20 000 ლარის ინვესტიცია
5	39.03.35.222	ტყიბული, სოფელი სამტრედია		444	5 100	ტერიტორიის მოწესრიგება 2 წლის განმვლობაში
6	39.03.37.001	ტყიბული, სოფელი მანჭიორი (ე.წ გრესის მიმდ.)		1 542	20 000	2 წლის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა, 100 000 ლარის ინვესტიცია
7	39.03.37.041	ტყიბული, სოფელი ბზიაური (გზასა და ტბას შორის, ყოფილი ნახშირის დამუშავების სააქმრო)		7760	90 000	2 წლის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა და 200 000 ლარის ინვესტიცია
8	39.03.37.155	მუნიციპალიტეტი ტყიბული, სოფელი საწირე (ტბის სანაპირო)		640	8 300	ტერიტორიის მოწესრიგება 2 წლის განმვლობაში, ინვესტიცია 50 000 ლარი 2 წლის განმავლობაში
9	39.07.26.007	ტყიბული, სოფელი გელათი (ტრანსფორმატორების ქარხნის ადმინ. შენობა)	სულ 524.7 262.49 და 262.47	1267	75 000	3 წლის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა და 150 000 ლარის ინვესტიცია
10	39.01.02.358	ქალაქი ტყიბული, ქუჩა ტყვარჩელი (ყოფილი N1 ატეკა)		11 000	400 000	5 წლის განმავლობაში არანაკლებ 500 000 ლარის ინვესტიცია
11	39.07.29.130	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსებში მდებარე არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი		4 793	70 000	„ტერიტორიის მოწესრიგება და 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება 18 თვის განმავლობაში“.
12	39.07.31.361	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათში მდებარე არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი		156	10 000	ტერიტორიის მოწესრიგება 2 წლის განმვლობაში
13	39.03.39.034	ტყიბულის მუნიციპალიტში, საწირის თემის სოფელ მანჭიორში არსებული 6024 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (წინწკილის მიმდებარედ)		6 024	50 000	150 000 (ასორმოცდაათიათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება 18 თვის განმავლობაში.